კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - II ტური

მე-3 კლასი

ძირითადი ამოცანები (40 ქულა)

1. გამოთვალეთ 12-9+5-3=
   A. 5 B. 3 C. 4
2. რომელია მცდარი(არასწორი)?
   A. 12+7=19 B. 7+9=16 C. 11+5=17
3. რომელია ათზე სამით მეტი რიცხვი?
   A. შვიდი B. ცამეტი C. სამი
4. რომელია სწორი?
   A. 12>19-8 B. 14<17-3 C. 18>9+10
5. ამოარჩიეთ უმცირესი(ყველაზე მცირე)
   A. 14-3-5 B. 15-3-4 C. 13-4-5
6. სულ მცირე რა უნდა დავუმატოთ 4-ს, რომ მივიღოთ 12-ზე დიდი რიცხვი?
   A. 8 B. 9 C. 11
7. ნანას ვარდები და მიხაკები აქვს, სულ 12 ცალი. მათგან 4-ით მეტი ვარდია. რამდენი მიხაკი ჰქონია ნანას?
   A. 4 B. 8 C. 2
8. დათოს იმდენი ფული აქვს, რომ 2 კალამსა და 1 ფანქარს თუ იყიდის, 1 ლარი მორჩება. 3 ფანქარს და 1 კალამს თუ იყიდის, 2 ლარი დააკლდება. რამდენი ლარით ძვირია 2 ფანქარი 1 კალამზე?
   A. 2 ლარით B. 3 ლარით C. ვერ დავადგენთ

ბონუს ამოცანები (10 ქულა)

9. თეფშზე 10 შოკოლადი იდო. პირველი ანამ შეჭამა, მეორე _ ნინამ, მესამე _ ნანამ, შემდეგ ისევ ანამ, ისევ ნინამ და ასე შემდეგ. რომელი გოგონა შეჭამდა ბოლო შოკოლადს?
   A. ანა B. ნინა C. ნანა
10. 1,2,4,7,11... გამოიცანი კანონზომიერება და დაასახელე შემდეგი წევრი:
   A. 15 B. 14 C. 16